ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)
საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში
29 აგვისტო – 25 სექტემბერი, 2017
თბილისი, საქართველო, 2 ოქტომბერი 2017

შესავალი

წინამდებარე შუალედური ანგარიში წარმოადგენს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის პირველად მიგნებებს 29 აგვისტოდან 25 სექტემბრის ჩათვლით. მისია შედგება 12 გრძელვადიანი დამკვირვებლისა და ორი ანალიტიკოსისგან, რომლებიც არჩევნების პროცესში დეზინფორმაციის როლსა და საარჩევნო პროცესებში ჩართული სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობას აკვირდებოდნენ. მისია 64-დან 59 საარჩევნო ოლქს ეწვია და 350-ზე მეტი შეხვედრა გამართა მთავრობის, საარჩევნო ადმინისტრაციის, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებთან. მისიის წევრები ასევე დაესწრნენ კამპანიის ღონისძიებებს, საარჩევნო კომისიის სხდომებსა და არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებს. დელეგაცია საქმიანობას საარჩევნო პროცესების დასრულებამდე გააგრძელებს. არჩევნების დღისთვის მისიის წევრებს მოკლევადიანი დამკვირვებლების მაღალი დონის დელეგაცია შემოუერთდება.

NDI-ის საარჩევნო სადამკვირვებლო ღონისძიებების მიზანია: საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტის ზუსტი და მიუკერძოებელი შეფასება; ზოგადი პოლიტიკური გარემოს ანალიზი; იმ ფაქტორების შესწავლა, რომელსაც საარჩევნო პროცესის კეთილსინდისიერად წარმართვაზე გავლენის მოხდენა შეუძლია; და რეკომენდაციების გაცემა, რომელიც მშვიდობიანი, სანდო არჩევნებისა და პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნის მიღწევას ემსახურება. NDI ყველა საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას არჩევნების საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციისა და მისი თანმდევი საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებლების ქცევის კოდექსის დაცვით აწარმოებს. ეს დოკუმენტები

აღიარებულია 52 წამყვანი საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ.

შეჯამება

პლურალიზმი ქართული პოლიტიკური ლანდშაფტის დამკვიდრებული ნაწილია და 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად ამომრჩევლებს მრავალფეროვანი პოლიტიკური არჩევანის გაკეთების საშუალება აქვთ. ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) არჩევნებისთვის მზადების პროცესშია. სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად აწარმოებს სადამკვირვებლო ღონისძიებებს. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეები ენდობიან საარჩევნო პროცესს და მათი შეფასებით გასული წლის საპარლამენტო არჩევნები იყო უსაფრთხო, კარგად ორგანიზებული და დაშინებისგან თავისუფალი.[1] ეს არჩევნები საქართველოს საშუალებას აძლევს, სანდო არჩევნების ჩატარების დამკვიდრებული პრაქტიკა გააგრძელოს.

თუმცა, მთლიანობაში, ამ დროისთვის საარჩევნო გარემო არსებით შეჯიბრებითობას, პოლიტიკისა და საკითხების ირგვლივ დებატებს ან ადგილობრივი თვითმმართველობის გაუმჯობესების კუთხით ალტერნატიული ხედვებს მოკლებულია, რაც ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში პოტენციურად ხელს უშლის. მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნო შემოწირულობების 95 პროცენტი მიიღო და ვრცელ სარეკლამო კამპანიას აწარმოებს. "ქართული ოცნება" მედიაშიც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი, მათ შორის - სამთავრობო პროექტებისა და მიღწევების გაშუქების გზით. ამის საპირისპიროდ, ოპოზიციური პარტიები რესურსების სერიოზულ ნაკლებობაზე საუბრობენ, რაც მათ კარდაკარის კამპანიის გარდა სხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარებაში ხელს უშლის. ოპოზიცია აცხადებს, რომ სახსრების და რესურსების ასეთი უთანასწორო განაწილება ჯანსაღი შეჯიბრის ალბათობას შეუძლებელს ხდის. პარტიები და კანდიდატები ან ძალიან თავდაჯერებულნი არიან არჩევნების შედეგში ან შეგუებულნი არიან ამ შედეგს.

ყველა ოპოზიციური პარტია ამტკიცებს, რომ საარჩევნო კამპანიის წარმოებისას მრავალი პრობლემა არსებობს, როგორიცაა: ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად

[1] NDI-ის 2016 წლის ნოემბრის კვლევის მიხედვით, მოქალაქეთა 96%-მა არჩევნები შეაფასა, როგორც უსაფრთხო და კარგად ორგანიზებული, 93%-მა კი განაცხადა, რომ საარჩევნო გარემო დაშინებისგან თავისუფალი იყო.

გამოყენება, ფართომასშტაბიანი დაშინება და საარჩევნო კომისიების საქმიანობაში პარტიული ჩარევა. ამ დროისთვის ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის ორი ფაქტის შესახებ გავრცელდა, რამაც ბევრი შეაშფოთა, რომ ასეთი ფაქტები კიდევ მოხდება. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამოკლებით, ოპოზიციურმა პარტიებმა ძალიან ცოტა ოფიციალური საჩივარი შეიტანეს. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ საჩივრების განხილვის პროცესს არ ენდობიან და კონკრეტული დარღვევების გასაჩივრებისთვის საკმარისი რესურსი არ აქვთ. საარჩევნო დარღვევების ბრალდებების დასამტკიცებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები მწირია. თუმცა საზოგადოებაში დამკვიდრებულ აღქმას, რომ დარღვევები ხდება, შეუძლია საარჩევნო პროცესისა და დემოკრატიული მმართველობის მიმართ ნდობა შეარყიოს.

არჩევნების დღემდე დარჩენილი კვირების განმავლობაში ხელისუფლებამ დაშინებისა და არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის ყველა შემთხვევა სწრაფად უნდა გამოიძიოს და დამნაშავეები პასუხისგებაში მისცეს. საარჩევნო ადმინისტრაციამ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება უნდა გააგრძელოს, რათა მათ დარჩენილ საარჩევნო პერიოდში პროცედურები მკაცრად დაიცვან და უშუალოდ არჩევნების დღეს გაუგებრობები თავიდან აიცილონ. თავის მხრივ, მედიამ უნდა შეასრულოს დაპირება, რომ კანდიდატების დებატებს და კამპანიების საკითხებს გააშუქებს. პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა კი მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ დებატებში და საზოგადოებას საკუთარი ხედვები გააცნონ.

ზოგადი ინფორმაცია

21 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების დღედ 21 ოქტომბერი გამოაცხადა. ამომრჩევლები 4 წლის ვადით 64 საკრებულოს 2,058 წევრს და 59 თვითმმართველი თემისა და 5 თვითმმართველი ქალაქის[2] 64 მერს აირჩევენ.

ადგილობრივი არჩევნები მნიშვნელოვანია. პირველი კონტაქტი მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ხდება. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ზედამხედველობას უწევენ მოსახლეობისთვის ყველაზე გადაუდებელი მნიშვნელობის საკითხებს, მათ შორის გზებს, საბავშვო ბაღებს, ნაგვის გატანას, და გარემოს დაცვას. 2017 წლის არჩევნები მნიშვნელოვან

[2] თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი და ბათუმი.

შესაძლებლობას აძლევს კანდიდატებს და პარტიებს, აქცენტი ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გააკეთონ. მოსახლეობა იმედგაცრუებულია, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით მათი მოლოდინები ვერ გამართლდა. ამ არჩევნებს ეროვნულ დონეზე პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. მმართველი პარტიის, ოპოზიციისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მონაწილეობით გამართული არჩევნების შედეგებმა შესაძლოა, ქვეყანაში ძალთა ბალანსზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს.

საქართველო ამ არჩევნებს მდიდარი დემოკრატიული მონაპოვრით უახლოვდება, მათ შორისაა: პლურალისტური პოლიტიკური ლანდშაფტი; გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემა; და სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ როლს თამაშობს. საქართველოს მოქალაქეები ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას ძლიერ მხარდაჭერას უცხადებენ.

ბოლო წლებში ქართული ოცნების მმართველი პარტია დომინანტი პოლიტიკური ძალა გახდა. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ქართულმა ოცნებამ თვითმმართველ ქალაქებსა და თვითმმართველ თემებში ყველა - 12 მერობისა და 59 გამგებლის - არჩევნებში გაიმარჯვა. ქართულმა ოცნებამ ასევე ქვეყნის მასშტაბით პროპორციული ხმების 50 პროცენტზე მეტი და მაჟორიტარული მანდატების უმეტესობა მოიპოვა. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ხმების 22 პროცენტი, ხოლო გაერთიანებულმა ოპოზიციამ ხმების 10 პროცენტის მოიპოვეს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა ქართული ოცნების კონტროლი კიდევ უფრო გაამყარა: პარტიამ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა (115 მანდატი 150-დან) და საერთო ხმების 49 პროცენტი მიიღო. ხუთ პროცენტიანი ბარიერი მხოლოდ ორმა სხვა სუბიექტმა გადალახა - ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა. ამასთან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის ლიდერთა ნაწილმა და პარლამენტის წევრების უმეტესობამ პარტია დატოვა და ახალი პარტია - ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის - შექმნა, რამაც საპარლამენტო ოპოზიციის გაყოფა გამოიწვია.

არჩევნები ეროვნულ დონეზე პოლიტიკური პოლარიზაციისა და მწვავე რიტორიკის ფონზე მიმდინარეობს, რაც საარჩევნო კამპანიის გარემოზე გავლენას ახდენს. მმართველი პარტია ახალ საკამათო კონსტიტუციას უყრის კენჭს, რომელსაც ყველა ოპოზიციური პარტია, წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციები და პრეზიდენტის

ადმინისტრაცია პრობლემურად და ერთი პარტიის ინტერესზე მორგებულად მიიჩნევს. კონსენსუსის მიღწევისა და ფართო მხარდაჭერის მოპოვების ღონისძიებები წარუმატებელი აღმოჩნდა და პარლამენტი ქვეყნის მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს მხოლოდ ერთი პარტიის მხარდაჭერით მიიღებს.

საქართველოს მასშტაბით ეს არჩევნები ქვეყნის პოლიტიკური ძალებისთვის ერთგვარ გამოცდას წარმოადგენს: ოპოზიციურ პარტიებს საშუალება ეძლევათ, პოლიტიკური მნიშვნელობა წარმოაჩინონ. არჩევნების შედეგები ასევე განსაზღვრავს, მოხდება თუ არა ქართული ოცნების მიერ პოლიტიკური ძალაუფლების კიდევ უფრო მეტად კონსოლიდაცია.

ბოლო ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წინა ანგარიშების ზოგადი შეფასებით საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, თუმცა ზოგიერთი ნაკლოვანება და ბუნდოვანება კვლავაც რჩება, მათ შორის მაჟორიტარული ოლქების არათანაბარ ზომასთან, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან და საჩივრების გადაწყვეტის პროცესთან დაკავშირებით.

საკრებულოს არჩევნები შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით ტარდება. პროპორციული მანდატების მოსაპოვებლად, პარტიებმა და კოალიციებმა ოთხ პროცენტიანი ბარიერი უნდა გადალახონ. ერთმანდატიან ოლქებში ის კანდიდატები მოიპოვებენ მანდატებს, რომლებიც ხმების ყველაზე მეტ რაოდენობას მიიღებენ. მაჟორიტარული ოლქების არათანაბარი ზომა ხანგრძლივი პრობლემაა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ადეკვატურად გადაჭრილი. მერების არჩევნებში გამარჯვებულმა ხმების 50 პროცენტზე მეტი უნდა მიიღოს ან მეორე ადგილზე გასულ კანდიდატთან ერთად მეორე ტურში უნდა მიიღოს მონაწილეობა. მეორე ტური პირველი ტურიდან არაუგვიანეს 25 დღის განმავლობაში უნდა ჩატარდეს.

საარჩევნო კანონმდებლობის ბოლო ცვლილებებმა ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ზოგიერთი ხანგრძლივად არსებული რეკომენდაცია გაითვალისწინა და რამდენიმე დებულება უფრო ნათლად განმარტა. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, მოქალაქეთა ჯგუფებს პოლიტიკურ პარტიებთან ერთად ეძლევათ შესაძლებლობა, მერობის კანდიდატები წარადგინონ. ეს ზრდის პოლიტიკურ

მონაწილეობას და კანონმდებლობა ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტთან შესაბამისობაში მოჰყავს. დამატებით, კანდიდატებს შეუძლიათ, საკრებულოსა და მერის არჩევნებში ერთდროულად იყარონ კენჭი (გარდა თბილისისა). ეს ცვლილება პოლიტიკური პარტიების ხანგრძლივად არსებულ მოთხოვნას პასუხობს, რომ მათ ლიდერებს, მერის არჩევნებში წაგების შემთხვევაში, საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ. სხვა ცვლილებები მოიცავს: კანდიდატებისთვის ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების ცენზის ცვლილებას, რაც ადრე სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა, და ასევე ახალ ვალდებულებას, რომ სწრაფად მოხდეს მომჩივანების ინფორმირება მათი საჩივრების პროცედურულ ნიადაგზე არდაკმაყოფილების შესახებ. აღნიშნული მომჩივანებს საშუალებას მისცემს, საჩივრის წარდგენასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები დროულად აღმოფხვრან.

ამის მიუხედავად, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებასა და ცესკოს თავმჯდომარის დანიშვნასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები, რომელიც ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ამოქმედდება, ბევრის აზრით მმართველ პარტიას უპირატეს მდგომარეობაში აყენებს და საარჩევნო მმართველობაში პოლიტიკურ პლურალიზმს ამცირებს, რამაც - თავის მხრივ - შეიძლება საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოების ნდობა შეარყიოს. პარტიები და ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფები ამ არჩევნებთან დაკავშირებულ სამ ახალ რეგულაციაზე მიუთითებენ, რომელი შეიძლება პრობლემატური იყოს ბუნდოვანი ან გაურკვეველი ფორმულირების გამო. საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 პარაგრაფი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს აძლევს უფლება, პირი კომისიის შენობიდან გააძევოს. 91-ე მუხლი[1] ჯარიმებს აწესებს იმ პირებზე, რომლებიც კომისიის საქმიანობას ხელს უშლიან. 26-ე მუხლის "დ" პარაგრაფი[1] საუბნო კომისიებს უფლებამოსილებას აძლევს, შეცვალონ შემაჯამებელი ოქმები კენჭისყრიდან 1 დღის განმავლობაში "ახსნა-განმარტებების ან/და სხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისას." ოპოზიციურმა პარტიებმა და სადამკვირვებლო ჯგუფებმა გამოთქვეს შიში, რომ ეს დებულებები პოლიტიკური ოპონენტების ჩამოსაშორებლად, განსხვავებული აზრის შესაზღუდად, ან შესაბამისი ზედამხედველობის გარეშე არჩევნების შედეგების შესაცვლელად შეიძლება ბოროტად იქნას გამოყენებული.

საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა მომავალი არჩევნებისთვის უცვლელი რჩება და შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან (ცესკო), 73 საოლქო საარჩევნო კომისიისგან და 3,600-ზე მეტი საუბნო საარჩევნო კომისიისგან. ყველა დონის კომისია 13 წევრისგან შედგენა, რომელთაგან 7 ნომინირებულია იმ პოლიტიკური პარტიების მიერ, რომლებიც ყველაზე მეტ სახელმწიფო დაფინენასებას იღებენ.[3]

ზოგადად, პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო ჯგუფები და სხვა გამოკითხული მხარეები საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალიზმს, გამჭვირვალობასა და ინკლუზიურობას დადებითად აფასებენ, განსაკუთრებით ცესკოს დონეზე.

მოახლოებული არჩევნებისთვის ცესკო მზადების პროცესშია და, საკუთარი შეფასებით, მანდატის შესასრულებლად საკმარისი რესურსები გააჩნია. წინასაარჩევნო პერიოდში კომისია რეგულარულ სხდომებს ატარებს, რომელიც ღიაა და რომელსაც დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები ესწრებიან. ამას გარდა, ცესკო საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს სხდომების დღის წესრიგს და ნებისმიერ ახალ განკარგულებას ან დადგენილებას არჩევნების პროცესთან დაკავშირებულ სიახლეებთან ერთად. ცესკო ასევე ამომრჩეველთა ინფორმირების ფართომასშტაბიან კამპანიას აწარმოებს. წინა არჩევნების გამოცდილებიდან გამომდინარე და NDI-ისა და სხვების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცესკოს ტრენინგების ცენტრმა განსაკუთრებული აქცენტი ხმის დათვლის, შემაჯამებელი ოქმების შედგენისა და დავების გადაჭრის პროცედურებზე გააკეთა.

საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივმოქმედი ორგანოებია. კომისიებში 5 წევრს შესაბამის გეოგრაფიულ არეალში საარჩევნო პროცესების ადმინისტრირებისთვის ხუთი წლის ვადით ცესკო ნიშნავს. საოლქო კომისიების უფლებამოსილებაში შედის: მაჟორიტარული ოლქების საზღვრების დადგენა, ამომრჩეველთა სიების მართვა, კანდიდატების რეგისტრაცია, საუბნო კომისიების წევრების დანიშვნას და მათი საქმიანობის ზედამხედველობა, საჩივრების განხილვა და ოლქში არჩევნების შედეგების შეჯამება. არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ ცესკო დამატებით ერთ წევრს, ხოლო კვალიფიციური პარტიები 7 წევრს ნიშნავენ.

[3] ამჟამად საარჩევნო კომისიებში შემდეგი პარტიები არიან წარმოდგენილნი: ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა.

თბილისის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიის ფუნქციას ცესკო ასრულებს. ჩატარებული შეხვედრების დროს არჩევნებში ჩართულ მხარეებს საოლქო საარჩევნო კომისიების მიმართ ღია უკმაყოფილება არ გამოუხატავთ, თუ არ ჩავთვლით საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შერჩევის პროცესს. თუმცა მხარეები ასევე მიიჩნევენ, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის სრულყოფილი შეფასება საარჩევნო პროცესის მოცემულ ეტაპზე ნაადრევია. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის 13 შემთხვევა გამოავლინა. მათი ინფორმაციით, 9 საოლქო საარჩევნო კომისიაში კომისიის წევრებს საარჩევნო სუბიექტებთან ნათესაური კავშირი აქვთ.

საუბნო საარჩევნო კომისიები დროებითი ორგანოებია, რომელთა წევრებიც საოლქო საარჩევნო კომისიისა და კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების მიერ არჩევნებამდე არაუგვიანეს 30 დღით ადრე ინიშნებიან. მათი მთავარი ფუნქციებია: ამომრჩეველთა სიის გადამოწმება, კენჭისყრის ჩატარება და შედეგების დათვლა და უბნის დონეზე არჩევნების შედეგების დადგენა. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების ე.წ. “პროფესიული ნიშნით შერჩეული” წევრების დანიშვნა უკვე დიდი ხანია, წინააღმდეგობრივ საკითხს წარმოადგენს - პოლიტიკურ პარტიებთან მათი შესაძლო კავშირების გამო. კანონით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი რომელიმე პარტიის წევრი არ უნდა იყოს, თუმცა კანონი არ არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა წინა არჩევნებზე პარტიების მიერ დანიშნული წევრების ე.წ. “პროფესიული ნიშნით შერჩეული” წევრების სტატუსით დანიშვნა. სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების, ასევე ივლისში NDI-ის წინასაარჩევნო დელეგაციის რეკომენდაციების შესაბამისად, ცესკომ საოლქო კომისიის წევრებს ურჩია, საუბნო კომისიის წევრების შერჩევისას კანდიდატების პროფესიული გამოცდილება და ტრენინგებში მონაწილეობა გაეთვალისწინებინა. მიუხედავად ამისა, დანიშვნის პროცესში საოლქო კომისიის წევრების მიკერძოებულობის აღქმა ფართოდ არის გავრცელებული.

ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების შეფასებით, პროცესი კანონთან შესაბამისად წარიმართა, თუმცა ბევრ ოლქში მიღებული განცხადებების მცირე რაოდენობამ პროცესის კონკურენტულ პირობებში წარმართვას ხელი შეუშალა. პროცესის გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდის მიზნით, ცესკომ დეტალური ინფორმაცია გამოაქვეყნა მიღებული განცხადებების (3,634 საუბნო კომისიაში 21,804 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად 28,667 განცხადება შემოვიდა), შერჩეული

წევრების წინა საარჩევნო გამოცდილებისა (82 პროცენტი ან 17,819) და იმის თაობაზე, თუ წინა არჩევნების დროს რომელი პარტიების მიერ იყვნენ წარდგენილნი დანიშნული კანდიდატები. ასევე ხელმისაწვდომი გახდა სესიებზე საოლქო კომისიების წევრების დასწრების სტატისტიკა (32 წევრი ან 3,37 პროცენტი არ ესწრებოდა) და კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია (17,978 წევრმა ან 82 პროცენტმა მიიღო 9 ან უფრო მეტი ხმა). NDI-ის გრძელვადიანი დამკვირვებლებისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათ მიერ მონახულებულ ოლქებში, საოლქო საარჩევნო კომისიებმა ეს პროცესი უმეტესწილად მშვიდობიანად და წესრიგის სრული დაცვით, თუმცა კანდიდატებთან ინტერვიუებისა და დისკუსიების გარეშე ჩაატარეს. მიუხედავად იმისა, რომ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზოგიერთმა პარტიამ თავის წარმომადგენლებს სესიების ბოიკოტირებისკენ, ხმის მიცემისგან თავი შეკავებისკენ, ან განსხვავებული აზრი დაწერისკენ მოუწოდა, ოპოზიციურ პარტიებს საერთო სტრატეგია არ ჰქონდათ. პროცესთან დაკავშირებული ფართოდ გავრცელებული უკმაყოფილების მიუხედავად, საუბნო კომისიის წევრების შერჩევის თაობაზე მხოლოდ 6 ოფიციალური საჩივარი დაიწერა და ყველა ან პროცედურულ საფუძველზე დაყრდნობით განუხილველი დარჩა ან არ დაკმაყოფილდა.[4]

ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ განაცხადა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დანიშნული საუბნო კომისიის წევრების წარსულ გამოცდილებას ამოწმებდნენ, რათა მათი პარტიული მიკუთვნილობა და ასევე წინა არჩევნებში დარღვევების გამო დაკისრებული რაიმე სახის სანქცია გამოევლინათ. თუმცა, კანონი წარსული პოლიტიკური აფილიაციის გამო საუბნო კომისიის წევრობის უფლების შეზღუდვას არ ითვალისწინებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ადამიანი საარჩევნო სუბიექტად ან მის წარმომადგენლად არის რეგისტრირებული.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები დროულად და წესრიგის სრული დაცვით ჩატარდა. ამასთანავე, NDI-ის რამდენიმე გრძელვადიანი დამკვირვებელი პროცედურული დარღვევის ან დაბნეულობის მომსწრე გახდა, მათ შორის საუბნო საარჩევნო კომისიების გამოცდილი წევრების მხრიდანაც კი. ზოგიერთ გეოგრაფიული არეალში საუბნო

[4] ცესკოში სამი საჩივარი იქნა შეტანილი, რომელიც ეხებოდა წევრების დანიშვნას თელავში, კრწანისსა და ქობულეთში. ყველა მათგანი განუხილველი დარჩა პროცედურული დარღვევების გამო; სამი დამატებითი საჩივარი შეიტანეს კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც ან არ დაკმაყოფილდა ან განუხილველი დარჩა.

კომისიის წევრებს ტრენინგები ჯერ გავლილი არ ჰქონდათ და ზუსტად არც ტრენინგების ჩატარების თარიღი იცოდნენ. ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებოდით, კომისიის რამდენიმე პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრი საკუთარ სტატუსთან დაკავშირებით დაბნეული იყო და ზუსტად არ იცოდა, პროფესიული ნიშნით იყო დანიშნული თუ პარტიის მიერ. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში NDI-ის გრძელვადიანი დამკვირვებლებისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და, რიგ შემთხვევებში, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები პირველ სხდომაზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის არჩევის პროცესის შესახებ წინასწარ დაწერილი განსხვავებული მოსაზრებებით გამოცხადნენ. განცხადებაში მიუთითებდნენ, რომ რეალური კონკურსი არ შედგებოდა და ხაზს უსვამდნენ, რომ ყველა ფუნქცია სესიამდე იყო გადანაწილებული. ცესკოს მონაცემები მიუთითებს, რომ არჩეული თავმჯდომარეების 94 პროცენტი, თავმჯდომარის მოადგილეების 86 პროცენტი და კომისიის მდივნების 89 პროცენტი ოლქის მიერ დანიშნული წევრებიდან შეირჩა.

ამ ეტაპზე არსებული მონაცემების თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიების პირველ სხდომებთან დაკავშირებით 10 საჩივარი ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ - კლუბმა თავისუფალი ზონამ - შეიტანეს. საჩივრებში პროცედურულ დარღვევებზეა საუბარი, დაწყებული ამომრჩევლების ერთიანი სიის საჯაროდ არ გამოქვეყნებიდან, სხდომის ოქმში არასრული ინფორმაციის შეტანით დასრულებული.[5]

ამომრჩევლების რეგისტრაცია

18 წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეს აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, თუ ეს უფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით არ ჩამოერთვა.[6] ამომრჩევლების რეგისტრაციის პროცესი პასიურია და ამომრჩეველთა საერთო სიას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცესკო ადგენს. პირველი სექტემბრის მონაცემებით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში 3,442,455 მოქალაქეა. სიები საუბნო საარჩევნო კომისიებშია გამოქვეყნებული და მასში ცვლილებების შეტანა 3

[5] ეს საჩივრები შეტანილი იქნა ჩუღურეთში, საბურთალოზე, სიღნაღში, სამგორში, კრწანისში, მარტვილსა და ვაკეში; სამი მათგანი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ოთხი არ დაკმაყოფილდა და სამი განხილვის პროცესშია.

[6] საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეებს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

ოქტომბრამდეა შესაძლებელი. საუბნო საარჩევნო კომისიაში ნახვის გარდა, ამომრჩეველს საკუთარი მონაცემების გადამოწმება ცესკოს ვებ-გვერდზე, მობილური აპლიკაციის და 9,500-მდე სწრაფი გადახდის აპარატის საშუალებით შეუძლია. 21 სექტემბრის მონაცემებით, ცესკოს ამომრჩეველთა სიის გადამოწმებისთვის შექმნილი ვებ-გვერდით 243,030 მომხმარებელმა ისარგებლა. განახლებულ ამომრჩეველთა სიას ცესკო 16 ოქტომბრისთვის გამოაქვეყნებს.[7]

ამ ეტაპზე პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო ორგანიზაციები და ადგილობრივი დამკვირვებლები საარჩევნო სიების სიზუსტესთან დაკავშირებით უკმაყოფილებას ნაკლებად გამოხატავენ. ისინი მხოლოდ შესაძლო უზუსტობებზე მიუთითებენ, რაც გარდაცვალებისა და მისამართის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების დროში გაჭიანურებითაა განპირობებული. ოპოზიციურმა პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ჯერ კიდევ ამომრჩეველთა სიის გადამოწმების პროცესში არიან და ფოკუსირდებიან არარსებულ მისამართებზე და/ან მფლობელის ნებართვის გარეშე რეგისტრირებული ამომრჩევლების გამოვლენაზე, ასევე სხვადასხვა პერიოდში ოლქებში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის მნიშვნელოვან ცვლილებაზე. ამ ეტაპზე NDI-ის ამომრჩეველთა რეგისტრაციის გაყალბების შესახებ რაიმე მტკიცებულება არ უნახავს.

პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაცია

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პოლიტიკური სუბიექტები ცესკოში ან შესაბამის ოლქში უნდა დარეგისტრირდნენ.[8] ამ ეტაპზე დარეგისტრირებულია 22 პოლიტიკური პარტია, 5 საარჩევნო ბლოკი და 225 საინიციატივო ჯგუფი. ორ პარტიას სარეგისტრაციო კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის საფუძველზე რეგისტრაციაზე უარი ეთქვა და სამმა სუბიექტმა რეგისტრაციაზე განაცხადი საკუთარი სურვილით გაიტანა.

საინიციატივო ჯგუფებს მერობის დამოუკიდებელი კანდიდატების ნომინირების უფლება ხელახლა მიენიჭათ - ეს უფლება მათ 2009 წელს შეუჩერდათ. ამ ეტაპზე არჩევნებში მერობის 13 დამოუკიდებელი კანდიდატი (20 სექტემბრის მონაცემებით)

[7] წინა არჩევნებზე მისამართის გარეშე რეგისტრირებულ ამომრჩევლებს, საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან რეგისტრაციამოხსნილ ამომრჩევლებს და ასევე მოქალაქეებს, რომელთა რეგისტრაცია გაუქმდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, ჰქონდათ შესაძლებლობა, 15 სექტემბრამდე თავიანთი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაევლოთ რეგისტრაცია.

[8] პოლიტიკური სუბიექტების რეგისტრაცია კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებაა.

და მაჟორიტარობის 212 დამოუკიდებელი კანდიდატი (19 სექტემბრის მონაცემებით) მონაწილეობს. საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაციის ბოლო ვადა 11 სექტემბერი იყო.

პოლიტიკურ პარტიებსა და კოალიციებს კანდიდატების ნომინირება 21 სექტემბრამდე შეეძლოთ. ცესკოს მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, პარტიული სიით დაახლოებით 13,000 კანდიდატი, მაჟორიტარობის თითქმის 5,000 კანდიდატი და მერობის 390 კანდიდატია რეგისტრირებული. ცესკოს მიერ კანდიდატების საბოლოო სიებისა და რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების საბოლოო ვადა 1 ოქტომბერია. კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების ბოლო ვადა 9 ოქტომბერია.

კანდიდატების შერჩევის პროცესი პარტიების მიხედვით განსხვავდება, მაგრამ, ზოგადად, ამ პროცესს მნიშვნელოვანწილად აკლია გამჭვირვალობა, თანაბარი კონკურენცია, მკაფიო კრიტერიუმები თუ კვალიფიკაციაზე დაფუძნებული პროცედურები. პარტიების ადგილობრივი წარმომადგენლები ისევე, როგორც პარტიის ლიდერები, ზოგჯერ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ მათთან სათანადო კონსულტაციები არ ჩატარდა ან ცენტრალური ოფისის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ ეთანხმებოდნენ. როგორც ჩანს, პარტიის მხრიდან ნომინირებისთვის საჭირო მხარდაჭერის ვერ მოპოვებამ თუ კანდიდატების წარდგენის ირგვლივ არსებულმა აზრთა სხვადასხვაობამ სენაკში, გარდაბანში, დმანისში, ხაშურში, ბორჯომსა და ჩოხატაურში ქართული ოცნების შიგნით განხეთქილება განაპირობა.

სარეგისტრაციო მოთხოვნების დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებულია. უფრო კონკრეტულად, მათ მხარდამჭერების ხელმოწერების შესაგროვებლად უფრო ნაკლები დრო აქვთ, თუმცა ოლქის მასშტაბების გათვალისწინებით, შეიძლება უფრო ცოტა ხელმოწერა იყოს საჭირო. პარტიებს შეუძლიათ, ხელმოწერები არჩევნების გამოცხადებამდე შეაგროვონ. საინიციატივო ჯგუფებს ეს შესაძლებლობა არ აქვთ. ამ არჩევნებში თბილისის დამოუკიდებელმა კანდიდატებმა ხელმოწერების საკმარისი რაოდენობის შესაგროვებლად გამოყოფილი მჭიდრო ვადების შესახებ უკმაყოფილება გამოხატეს.

დადებითი ნაბიჯი გადაიდგა ცესკოს მიერ რიგითი ნომრების მინიჭების კუთხით - რაც გულისხმობს კანონით დადგენილ ბოლო ვადამდე 10 დღით ადრე ბიულეტენზე

პოზიციის განმსაზღვრელი ნომრის მინიჭებას იმ საარჩევნო სუბიექტებისთვის, რომელსაც ეს ნომერი არ აქვს. ეს ნაბიჯი "სახალხო მოძრაობა-მრავალეროვანი საქართველოს" შეთავაზების საპასუხოდ გადაიდგა. ორგანიზაციის რეკომენდაციის მიხედვით, არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს საარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის და თავიანთი რიგითი ნომრის შესახებ ამომრჩევლების სათანადო ინფორმირებისთვის მეტი დრო უნდა მიეცეთ.

საარჩევნო კამპანიის გარემო

საარჩევნო კამპანია ოფიციალურად კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა პარტიამ და კანდიდატმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადებამდე რამდენიმე თვით ადრე განაცხადა, ნომინირებული კანდიდატების საბოლოო სია მხოლოდ რეგისტრაციისთვის გამოყოფილი პერიოდის ბოლო დღეს (21 სექტემბერს) გასაჯაროვდა. არჩევნებამდე ერთ თვემდე ნაკლები რჩება, თუმცა საარჩევნო კამპანიის ინტენსივობა ქვეყნის უმეტეს ნაწილში საოცრად დაბალია. პარტიები და კანდიდატები თავის შესაძლებლობებში ზედმეტად დარწმუნებული ან კონკრეტულ შედეგს შეგუებულნი ჩანან. ქართული ოცნება დამაჯერებელ გამარჯვებაშია დარწმუნებული, ხოლო ოპოზიციური პარტიები უკიდურესად მწირ რესურსებს კონკურენტუნარიანი კამპანიის წარმოების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ასახელებენ. როგორც ჩანს, პარტიების ძალისხმევა რამდენიმე კონკურენტუნარიან ოლქზეა კონცენტრირებული. ისინი ყურადღებას თბილისზე და საკუთარი მერობის კანდიდატების პოპულარიზაციაზე ამახვილებენ. პარტიების მიერ ნომინირებულ მაჟორიტარ კანდიდატებსა და პროპორციული სიის კანდიდატებზე ინფორმაცია მწირია.

არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისთვის კამპანიისა და რეკლამისთვის საჭირო სივრცეების გამოყოფაზე ადგილობრივი ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ეს უმეტესწილად ასეც ხდება, თუმცა პარტიები ხშირ შემთხვევაში მიუთითებენ, რომ კამპანიისთვის გამოყოფილი სივრცეები არასაკმარისია. ამ ეტაპისთვის კამპანიის თავისუფლად ჩატარების უფლება უმეტესწილად დაცულია; არჩევნებში მონაწილე პირთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ამომრჩევლებთან წვდომის თავისუფლება აქვთ. მიუხედავად ამისა, საარჩევნო კამპანიის შეფერხების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის - კამპანიის ღონისძიებების ჩაშლა და სააგიტაციო მასალების დაზიანება.

ოპოზიციურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ დაფინანსებისა და რესურსების თვალსაზრისით არსებული უთანასწორობა მათ კამპანიებზე დიდ გავლენას ახდენს. კვალიფიციური პარტიების თქმით, ისინი უმეტესწილად ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას ეყრდნობიან, კონცენტრირდებიან კარდაკარზე და მცირემასშტაბიან შეხვედრებზე. დაბალბიუჯეტიანი სოციალური მედიის გამოყენება იზრდება, თუმცა მისი წვდომა შეზღუდულია. ყველაზე ხშირად გამოყენებადი პლატფორმა Facebook-ია. ქართული ოცნების საარჩევნო მასალები მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე შესამჩნევია. იზრდება სხვა პარტიების ხილვადობაც. ოპოზიციურ პარტიებს შორის ევროპული საქართველო ამ კუთხით მოწინავე პოზიციაზეა, რადგან საკუთარი იმიჯის დამკვიდრებასა და სახელის ირგვლივ ცნობადობის გაზრდას ცდილობს. იზრდება პატრიოტთა ალიანსის ხილვადობაც. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლების თქმით, ისინი ჯერ კიდევ სააგიტაციო მასალების ბეჭდვის პროცესში არიან. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის განცხადებით, პარტიისთვის ბილბორდების სივრცის შესყიდვა შეუძლებელია, ვინაიდან ყველა კომპანია, რომელსაც პარტია დაუკავშირდა არახელსაყრელ სახელშეკრულებო პირობებს სთავაზობს და/ან გარკვეული სივრცეების გამოყენებაზე უარს ეუბნება.

ამის საპირისპიროდ, ქართული ოცნების კამპანია უფრო შესამჩნევია, უამრავი რეკლამით, სააგიტაციო მასალებით, დროშებითა და ბილბორდებით. ხელისუფლებამ ასევე გაავრცელა მედია პროდუქტები, სადაც ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მიღწევებია ხაზგასმული. დაგეგმილ საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩში თბილისის მერობის ქართული ოცნების კანდიდატის მონაწილეობა პარტიის ხილვადობას კიდევ უფრო ზრდის. ქართულმა ოცნებამ პარტიის ოფისები ქვეყნის მასშტაბით გახსნა, დაიქირავა კოორდინატორების გუნდები, და გაავრცელა სააგიტაციო მასალები და პარტიული სიმბოლიკა. დამკვირვებლების მიერ გაანალიზებული ქართული ოცნების რეკლამების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით თბილისის მერობის კამპანიის ფარგლებში, კონცენტრირებულია გამოსახულებებზე, რომელიც მნახველზე "კარგად გრძნობის" განცდას ტოვებს, ასევე კანდიდატების და მისი ოჯახის წევრების ფოტოებზე და ნაკლებად ასახავს პოლიტიკის ხედვებს.

ამ პერიოდამდე პოლიტიკის მიდგომებსა და ხედვებზე დებატი თითქმის არ შემდგარა. პარტიების და კანდიდატების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ისინი ჯერ კიდევ პოლიტიკური პლატფორმებისა და კამპანიის მესიჯების ჩამოყალიბების პროცესში

არიან. NDI-ის გრძელვადიანი დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივ დონეზე კანდიდატების რეპუტაციასა და გავლენებთან შედარებით კამპანიის პლატფორმები და მესიჯები მეორეხარისხოვანი და უმეტესწილად იდენტურია.

მიუხედავად პარტიების დაპირებისა, რომ თავიანთი აქტივისტებს ძალადობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდნენ - მათ შორის, ქართული ოცნების ლიდერები საუბრობენ ამ მოწოდების შეუსრულებლობის შემთხვევაში არსებულ შიდა სანქციებზე - ორი ინციდენტი დაფიქსირდა, რომელიც საარჩევნო პროცესში ძალადობასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ევროპული საქართველოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მარნეულში პარტიის საკრებულოს წევრობის კანდიდატს ქართული ოცნების საკრებულოს წევრობის კანდიდატმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ხობში, სოფელ ზემო ქვალონში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ევროპული საქართველოს მაჟორიტარობის კანდიდატსა და მის მამას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. დამატებით, ცესკოს განცხადებით, ამომრჩეველთა ერთიანი სია და კომისიის ოქმები ჩამოხიეს გარდაბანის ოლქის ერთ-ერთ უბანში; ხოლო ოზურგეთის ერთ-ერთ უბანზე კარები შეანგრიეს, ინვენტარი დააზიანეს და ამომრჩეველთა ერთიანი სიები ჩამოხიეს.

ძალადობის ეს შემთხვევები გადაჭრასა და სანქციებს საჭიროებს. 2016 წელს მომხდარი არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის ზოგიერთი ინციდენტი არ არის სათანადოდ შესწავლილი და დამნაშავეები კანონის შესაბამისად არ დასჯილან. ხელისუფლების უმოქმედობა დაუსჯელობის განცდას ქმნის და შეიძლება, შემდგომი ძალადობა წაახალისოს.

ზოგადად, NDI-ის გრძელვადიანი დამკვირვებლების შეფასებით, საყოველთაოდ გავრცელებულია განცდა, რომ რეალური კონკურენცია მცირეა. ქართული ოცნების ლიდერებმა საკმაოდ მკაფიოდ განაცხადეს, რომ ისინი მოიგებენ და თან საგრძნობი უპირატესობით, და ნებისმიერი ოპოზიციური ძალის გამარჯვება, მცირემასშტაბიანიც კი, მათ სისუსტეზე მიმანიშნებელ გარემოებად იქნება აღქმული. პარტიას ფინანსური და მედია რესურსების ლომის წილზე აქვს წვდომა, მაშინ, როდესაც ოპოზიციური პარტიები ამ ტემპისთვის ფეხის აყოლას ძლივს ახერხებენ.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება

პარტიული ინტერესის სასარგებლოდ საჯარო თანამდებობისა და ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენება საქართველოში დამკვიდრებული პრობლემაა, რომელიც ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. ბევრი ჩართული მხარე აღიარებს, რომ თანამდებობისა და რესურსების სავარაუდო არამიზნობრივი გამოყენების მაგალითები კანონის პირდაპირ დარღვევას არ წარმოადგენს, თუმცა ამომრჩევლებზე გავლენის მოხდენის მცდელობაა და პარტიისა და სახელმწიფოს მკაფიო გამიჯვნის პრინციპს არღვევს. ხშირად გაჟღერებულ საკითხებს შორისაა: ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტიდან ხარჯვისა და ინფრასტრუქტურული პროექტების წინასაარჩევნო პერიოდში ჩანიშვნა; ხელისუფლების მიღწევების ამსახველი ვიდეოკლიპების ჩვენება; დემონსტრაციებზე/ყრილობებზე დასწრების მიზნით საჯარო სექტორში დასაქმებულთა მობილიზება; და საჯარო თანამდებობის პირების მხრიდან კამპანიის აქტივობებისა და ოფიციალური საქმიანობის არ გამიჯვნა. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს (TI) ცნობით, სამეგრელო-ზემო სვანეთში 168 სოფლის რწმუნებული მუდმივიდან დროებით კონტრაქტზე გადაიყვანეს. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა შეშფოთება, რომ შესაძლოა, ამ ადამიანებზე ზეწოლა განხორციელდეს, ვინაიდან მათი კონტრაქტის გაგრძელება მერის კეთილ ნებაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ განაცხადა, რომ მსგავსი პრაქტიკა მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება.

ივლისში NDI-ის წინასაარჩევნო მისიის შემდეგ, სხვადასხვა ეროვნული დონის სტრუქტურებმა, როგორიცაა ცესკო და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია (უწყებათაშორისი კომისია), შესაბამისი წესების შესახებ საზოგადოებისა და საჯარო მოხელეების ინფორმირებისათვის რიგი ნაბიჯები გადადგეს. ათმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ცესკომ და უწყებათაშორისმა კომისიამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც არაკანონიერი კამპანიის წარმოების, ამომრჩევლის მოსყიდვისა და ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების შესახებ ნორმების ერთგვაროვან განმარტებასა და აღსრულებას ფარავს. ადგილობრივ დონეზე საჯარო თანამდებობის პირები აცხადებენ, რომ ამ ნორმებს იცნობენ და იცავენ. დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა დადებითად აფასებს უწყებათაშორის კომისიას, როგორც კომისიის წარმომადგენლებთან ინფორმაციის გაცვლის პლატფორმას. მიუხედავად ამისა, იმ ადამიანების დიდი ნაწილი, ვისაც მისიის

წარმომადგენლები ესაუბრნენ, მიიჩნევს, რომ კომისიის წევრი ორგანიზაციები პრობლემური საკითხების გამოძიების მხრივ ეფექტურნი არ არიან.

25 სექტემბრისთვის ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა 21 საჩივარი დაწერეს. საჩივრები, სხვათა შორის, საჯარო მოხელეების მხრიდან მმართველი პარტიის მხარდასაჭერად კამპანიის წარმოებას ეხებოდა .[9]

დამატებით, სხვადასხვა რეგიონებში ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა პოტენციურ კანდიდატებზე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებზე, პარტიულ აქტივისტებსა თუ ამომრჩეველზე (განსაკუთრებით - საჯარო მოხელეებზე) სავარაუდო ზეწოლის, სამსახურიდან გათავისუფლების და დაშინების შესახებ განაცხადეს. რამდენიმე პარტიამ განაცხადა, რომ - კანდიდატთა წარდგენის შემდეგ - მათ კანდიდატებზე ხორციელდება ზეწოლა, მოხსნან საკუთარი კანდიდატურა. ზოგიერთმა კანდიდატობაზე უკვე უარიც კი თქვა. ამ ბრალდებებს მცირე ან არანაირი მტკიცებულება ერთვის თან და NDI-ის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა ამ ბრალდებების სისწორის დამოუკიდებლად გადამოწმება ვერ შეძლეს. მსგავს ბრალდებებზე მტკიცებულებების წარდგენა ძალიან რთულია. თუმცა, წინასწარი განწყობა, რომ ამგვარი ზეწოლა ხშირია - მიუხედავად იმისა, შეესაბამება ეს სიმართლეს თუ არა - თავისთავად ამცირებს ნდობას საარჩევნო პროცესებისადმი და უბიძგებს ადამიანებს, არ მიიღონ მასში მონაწილეობა.

კამპანიის დაფინანსება

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტებიდან თექვსმეტს სახელმწიფო დაფინანსება ეკუთვნის.[10] გარდა დაფინანსებისა, კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ, სახელმწიფოსგან წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების ანაზღაურება მოითხოვონ - მაქსიმუმ 500,000 ლარის ოდენობით. კვალიფიციურ პარტიებს ასევე ეკუთვნით საოლქო და საუბნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების დაფინანსება და პოლიტიკური სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დაფარვა. დამოუკიდებელი კანდიდატები სახელმწიფო დაფინანსებას არ იღებენ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი პროცენტი დააგროვეს წინა არჩევნებში.

---

[9] ეს საჩივრები დაიწერა შესაბამის საოლქო კომისიებში ამბროლაურში, ასპინძაში, ბათუმში, ჩოხატაურში, დმანისში, ხულოში, ქუთაისში, ყვარელში, მცხეთაში, ლანჩხუთში, ონში, შუახევსა და ზუგდიდში. ორი საჩივარი კი დაიწერა ცესკო-ში.

[10] საკვალიფიკაციოდ პარტიას ესაჭირეობა წინა საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებში გადალახული ჰქონდეს 3 პროცენტიანი ბარიერი.

საარჩევნო კამპანიების ფინანსების მონიტორინგზე პასუხისმგებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურია. საერთო ჯამში, სხვადასხვა მხარეები აუდიტის სამსახურის პროფესიონალიზმსა და გამჭვირვალობას დადებითად აფასებენ და ამბობენ, რომ აუდიტის სამსახურს პოლიტიკური დაფინანსების საკითხების გამოძიების კუთხით ენდობიან. პოლიტიკური პარტიები, კოალიციები და საინიციატივო ჯგუფები ვალდებულნი არიან, ყოველ 3 კვირაში აუდიტის სამსახურს შემოწირულობების შესახებ ანგარიში წარუდგინონ. აუდიტის სამსახურს, თავის მხრივ, ინდივიდუალური ანგარიშების განხილვისთვის ზღვრული ვადა დაწესებული არ აქვს და შეუძლია, პოლიტიკური დაფინანსების ფაქტები 6 წლის განმავლობაში გამოიძიოს.

როგორც სხვა საარჩევნო სადამკვირვებლო ანგარიშებშია ხაზგასმული, რესურსების ნაკლებობა ზღუდავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უნარს, სიღრმისეულად გამოიკვლიოს კამპანიების შემოსავლები და დანახარჯები. თუმცა აუდიტის სამსახური აპირებს, შიდა რესურსების გადანაწილებას გადახედოს. დამატებით, აუდიტის სამსახურმა აღნიშნა, რომ კანონით დადგენილი ვადებმა, რესურსების ნაკლებობამ, ეროვნული დონის სხვა სტრუქტურების მხრიდან ინფორმაციის მოწოდების დაყოვნებამ შესაძლოა, გამოძიების დასრულება არჩევნების დასრულებამდე გააჭიანუროს. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ შესაძლოა, გამოიწვიოს ცესკო-ს მხრიდან საარჩევნო ხმების ანულირების მოთხოვნით მიმართვა სასამართლოსადმი. აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ ამგვარი შემთხვევა ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ძალიან რთულია ფინანსური დარღვევების უშუალოდ მიღებულ ხმებთან დაკავშირება.

ამ ეტაპისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახური აცხადებს, რომ საარჩევნო სუბიექტების უმრავლესობა დაკისრებულ ვალდებულებებს ასრულებს. ანგარიშის წარდგენის ზღვრული ვადის გადაცილებისთვის ჯარიმა ორ პარტიას დაეკისრა: ლეიბორისტული პარტია და პოლიტიკური მოძრაობა თავისუფლებისთვის - ზვიადის გზა. აუდიტის სამსახურმა ასევე 14 ინდივიდუალური შემომწირველი დაკითხა (რვა - ქართული ოცნების და ექვსი - ევროპული საქართველოსი). სამსახურის აზრით, მათი შემოწირულობები მათ შემოსავალს არ შეესაბამებოდა, თუმცა აუდიტის სამსახურმა შემდგომი სამართლებრივი ზომების გატარების საჭიროება ვერ აღმოაჩინა.[11]

[11] პარტიული შემოწირულობების მაქსიმალური ოდენობაა 120,000 ლარი იურიდიული პირისთვის და 60,000 - ფიზიკური პირისთვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულმა ბოლო მონაცემებმა მმართველი პარტიის და სხვა საარჩევნო სუბიექტების მიერ მოზიდულ შემოწირულობებს შორის დიდი სხვაობა ცხადყო. ეს საქართველოსთვის განცალკევებულ მოვლენას არ წარმოადგენს. 1 ივლისი - 13 სექტემბრის პერიოდში წარდგენილი ანგარიშების მიხედვით ქართულმა ოცნებამ 7.34 მილიონი ლარი მიიღო (რაც ჯამში დეკლარირებული შემოწირულობების 95%-ს შეადგენს). მას მოსდევს ევროპული საქართველო - 323,675 ლარით. დარჩენილმა ცხრა პარტიამ ჯამში მთლიანი შემოწირულობების მხოლოდ ერთი პროცენტი მიიღო. გარდა ამისა, რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ განაცხადა, რომ მათ ბანკიდან სესხის აღება გაუჭირდათ და ვერ შეძლეს კერძო შემომწირველების მოზიდვა, რადგან მათ შესაძლო სადამსჯელო ღონისძიებების ეშინიათ. პოლიტიკური დაფინანსების კუთხით ამგვარი არათანაბარი გარემო მხოლოდ ამ არჩევნების და მხოლოდ ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში არსებულ გამონაკლისს არ წარმოადგენს; თუმცა ეს პრობლემა ქვეყანაში დემოკრატიული კონკურენციის არსებობისთვის გრძელვადიან გამოწვევად რჩება.

მედია

ქართული მედია განიხილება, როგორც მრავალფეროვანი, პლურალისტული, მეტწილად თავისუფალი, თუმცა დაყოფილი პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით. მოსახლეობის უმეტესობისთვის ტელევიზია კვლავ ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ რჩება, თუმცა ონლაინ მედიის როლი იზრდება.[12] სიტყვის თავისუფლება გარანტირებულია კონსტიტუციის მიერ, ხოლო მედიის თავისუფლებას კანონი იცავს. საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, მაუწყებლები ვალდებულნი არიან, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპები დაიცვან. ეროვნულმა, რეგიონულმა და ადგილობრივმა მაუწყებლებმა ისაუბრეს გეგმებზე, გააშუქონ არჩევნები - როგორც რეგულარულ საინფორმაციო გამოშვებებში, ასევე სპეციალურ საარჩევნო გადაცემებში, როგორიცაა დებატები კანდიდატებს შორის. მთავარი დაბრკოლება, რომელზეც რეგიონული მედიის წარმომადგენლები საუბრობენ, შეზღუდული რესურსები და კანდიდატების დიდი რაოდენობაა. გარდა ამისა, მისიის წევრების დაკვირვებით, ქვეყნის მასშტაბით ბევრგან მედია წარმოდგენილი არ არის, ხოლო ეროვნული მაუწყებლები ცალკეულ ადგილობრივ არჩევნებს არ

[12] 2017 წლის აპრილსა და ივნისში ჩატარებული NDI-ის კვლევის მიხედვით, მოქალაქეების 88 პროცენტი ინფრომაციას ტელევიზიიდან იღებს, რუსთავი 2 და იმედი კი სახელდება ყველაზე სანდო ტელევიზიებად. შედარებისთვის, 42 პროცენტი მოსახლეობის იღებს ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით, 19 პროცენტი გაზეთებიდან.

აშუქებენ. ეს კი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ამ თემების ამომრჩევლისთვის, რომელიც საკუთარი არჩევანის გასაკეთებლად ინფორმაციის მოძიებას ცდილობს.

რუსთავი 2 - ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ყურებადი ტელევიზია - დაფინანსებისა და მენეჯმენტის კუთხით რთულ მდგომარეობაშია. ამის მიზეზი სადავო სასამართლო გადაწყვეტილებაა, რომელმაც არხს სესხის აღების უნარი შეუჩერა და მისი მფლობელი შეცვალა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჩარევის შემდეგ, არხის მმართველობა კვლავ არსებული მენეჯმენტის ხელშია, თუმცა ეს მდგომარეობა არასტაბილურია. მეტიც, 18 სექტემბრის კვირაში რუსთავი 2-ის ვებ-გვერდი კიბერ-თავდასხმის სამიზნე გახდა (DDoS). ეს თავდასხმა რუსთავი 2-ის Facebook გვერდზე მისული გამაფრთხილებელი შეტყობინების შემდეგ განხორციელდა და ბევრი ონლაინ აქტივობა შეაფერხა. იმედი - კიდევ ერთი მსხვილი მაუწყებელი - იმავე კვირაში იმავე ტიპის კიბერ-შეტევის სამიზნე აღმოჩნდა.

საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წამოწია საკითხი პოლიტიკური რეკლამის შინაარსთან დაკავშირებით, რომლის მესიჯებისა და ინფორმაციის არც განხილვის და არც უარყოფის უფლება მას არ აქვს. მაგალითისთვის, 2016 წლის არჩევნების დროს, საზ. მაუწყებელმა ეთერიდან მოხსნა პარტია ცენტრისტების საარჩევნო რგოლი, რომელშიც პარტია მოსახლეობას რუსულ პენსიებსა და რუსული სამხედრო ბაზების დაკანონებას ჰპირდებოდა, განაცხადა რა, რომ ეს გზავნილები ქვეყნის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რომელიც მედიის მონიტორინგზეა პასუხისმგებელი, ორი გაფრთხილება გასცა - რუსთავი 2-ისა და ობიექტივის მისამართით: გაფრთხილება არასაარჩევნო პერიოდში ევროპული საქართველოს (რუსთავი 2-ის მიერ) და პატრიოტთა ალიანსის (ობიექტივის მიერ) გაშვებას ეხებოდა. ასევე, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და აჭარის ტელევიზიას დაეკისრათ სანქციები, რადგან მათ უარი თქვეს ეთერში გაეშვათ საარჩევნო გაერთიანება დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველოს საარჩევნო რგოლი.

ოპოზიციური პარტიები ტრადიციულ მედია საშუალებებს ქართული ოცნების კამპანიის უსასყიდლოდ გაშუქებაში ადანაშაულებენ - სახელმწიფო პროექტების

(განსაკუთრებით - თბილისში) და ქართული ოცნების სხვადასხვა მიღწევების შესახებ რეპორტაჟების გადაცემის გზით.

დეზინფორმაცია

დეზინფორმაცია - ხშირად გამოხატული ქსენოფობიური, ჰომოფობიური ან ულტრაკონსერვატიული რიტორიკით - ბოლო წლებში საქართველოს პოლიტიკაში უფრო მეტად გამოკვეთილი კომპონენტი გახდა. გავრცელებული დეზინფორმაცია ფოკუსირდება იმაზე, რომ წარმოაჩინოს დასავლეთი, როგორც საფრთხე ქართული იდენტობისთვის, ევროკავშირი - როგორც დემოგრაფიული საფრთხე და მიგრანტებისა და ტერორისტების წყარო, ხოლო რუსეთი - როგორც მოძმე მართლმადიდებელი სახელმწიფო და დასავლეთის საპირწონე.[13] სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთი ლიდერი, NDI-ის წინასაარჩევნო მისიასთან საუბრისას, ამ მესიჯების წყაროდ რუსეთს ასახელებდა და ამბობდა, რომ მსგავსი გზავნილების მიზანი დაბნეულობის გამოწვევა, ფაქტებსა და სიმართლეში ეჭვის შეტანა და, ზოგადად, დემოკრატიულ ღირებულებებისა და ნორმების მიმართ რწმენის შერყევაა. საარჩევნო გარემოში, როდესაც ელექტორატის ინფორმირებულობა და ჩართულობა უმნიშვნელოვანესია, ამგვარმა ტაქტიკამ შესაძლოა, უბიძგოს მოსახლეობას, არ მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა და ამგვარად შეცვალოს არჩევნების შედეგები.

ამ დრომდე NDI-ის დამკვირვებლებს წინასაარჩევნო პერიოდში არც დეზინფორმაციის განსაკუთრებული ზრდა და არც კანდიდატებისა და პარტიების წინააღმდეგ მიმართული ცრუ ნარატივების სისტემური გავრცელება არ შეუნიშნავთ. თუმცა დაფიქსირდა - ერთი შეხედვით - განცალკევებული ფაქტები. მაგალითად, Facebook-ის საშუალებით გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ჩანს, როგორ აგროვებენ სავარაუდოდ ენმ-ის წარმომადგენლები ხელმოწერებს თბილისის მერობის კანდიდატ ალეკო ელისაშვილისთვის, რომელიც დამოუკიდებელი კანდიდატია. ეს ვიდეო შემდგომში ტრადიციულ მედიაშიც გავრცელდა. ელისაშვილის გუნდის განცხადებით, ვიდეო დადგმულია და ამასთან დაკავშირებით მათ პოლიციაში საჩივარი შეიტანეს, რომელიც შემდგომ უწყებათაშორის კომისიას გადაეცა. ამის მსგავსად, ელისაშილის გუნდმა დაწერა საჩივარი Facebook-ის გვერდის წინააღმდეგ, რომელიც აცხადებს, თითქოს ელისაშვილის მხარდამჭერთა ჯგუფია, სინამდვილეში კი ავრცელებს მადისკრედიტირებელ და ცრუ ინფორმაციას კანდიდატის შესახებ. ამბროლაურში, მარნეულში, თბილისსა და ზუგდიდში რამდენიმე პარტიამ (ევროპული საქართველო, ქართული ოცნება, რესპუბლიკელები, ენმ) კამპანიის

[13] მედიის განვითარების ფონდი (MDF) <u>ანტი-დასავლური პროპაგანდა,</u> 2016.

მსვლელობისას სხვადასხვა მედიის, მათ შორის Facebook-ის, საინფორმაციო ვებ-გვერდებისა და ტელევიზიის საშუალებით მათ კანდიდატებზე ცრუ ინფორმაციის გავრცელების შესახებ განაცხადა. მმართველი პარტია რუსთავი 2-ს ცრუ ინფორმაციის - განსაკუთრებით, თბილისის მერობის კანდიდატის წინააღმდეგ - გავრცელებაში ადანაშაულებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამჟამად Facebook-ზე გავრცელებული ფასიანი მასალის რამდენიმე შემთხვევას იკვლევს. ეს მასალები კონკრეტული კანდიდატის ან პარტიის მხარდასაჭერია, თუმცა გაურკვეველია, ვინ არის ამ მასალის სპონსორი - ამ ინფორმაციის დეკლარირება კი კანონით სავალდებულოა. ცესკო-მ ასევე ისაუბრა დეზინფორმაციის შესახებ, რომელიც მისი საქმიანობის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. რამდენიმე შემთხვევაში კომისიამ უშუალოდ საინფორმაციო წყაროს ან ჟურნალისტს მიმართა, რათა მათ შესწორება გაეკეთებინათ, რამდენიმე შემთხვევაში კი საპირწონე მასალა თავად გამოაქვეყნა. ცესკო-მ ასევე სასამართლოში რუსთავი 2-ის მიერ მომზადებული სიუჟეტის გამო სარჩელი შეიტანა. სარჩელი ცესკო-ს მიერ სხვადასხვა საარჩევნო მომსახურების შეძენის ტენდერების არასწორად გაშუქებას ეხება. სასამართლომ ცესკოს სარჩელი დააკმაყოფილა.

NDI-ის დამკვირვებლებთან საუბრისას კანდიდატებმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და მედიის წარმომადგენლებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ არ არსებობს ცრუ ინფორმაციასთან, განსაკუთრებით ინტერნეტსივრცეში არსებულ ინფორმაციასთან, ბრძოლის ადეკვატური სამართლებრივი თუ მარეგულირებელი ჩარჩო. საარჩევნო კოდექსი და პოლიტიკური დაფინანსების შესახებ დადგენილება არ მოიცავს ონლაინ კამპანიებს. რამდენიმე ადგილობრივი ორგანიზაცია დეზინფორმაციის კონკრეტულ ასპექტებს აკვირდება. ამასთანავე, ევროპული საქართველოს, ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა NDI-ის დამკვირვებლებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ სოციალურ მედიაში, განსაკუთრებით Facebook-ზე, თავიანთი პარტიისა და კანდიდატის შესახებ გავრცელებული ცრუ ინფორმაციის მონიტორინგს აწარმოებენ. იმისათვის, რომ დეზინფორმაცია არჩევნების სანდოობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი არ გახდეს, დეზინფორმაციის შესაძლო უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად მთავრობის, პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდირებული მოქმედებაა საჭირო.

ქალების მონაწილეობა

მიუხედავად იმისა, რომ ქალები ამომრჩეველთა 54 პროცენტს შეადგენენ, ისინი ყველა დონეზე არჩევით და დანიშნულ თანამდებობების პირებს შორის ნაკლებად არიან წარმოდგენილები. 150 დეპუტატს შორის 23 ქალია (15 პროცენტი) და მინისტრთა კაბინეტის 19 წევრს შორის - მხოლოდ 2. არჩეულ 71 მერსა და გამგებელს შორის მხოლოდ ერთია ქალი. მიუხედავად იმისა, რომ პარტიულ სიებში გენდერული წარმომადგენლობის ფინანსური წახალისების მექანიზმი 2011 წელს ამუშავდა, ქალები საკრებულოს წევრების მხოლოდ 12 პროცენტს შეადგენენ.

ცესკოს მონაცემების თანახმად, 64-დან 35 ოლქში მერობის არცერთი ქალი კანდიდატი არ არის წარმოდგენილი. დამატებით, 14 ოლქში მერობის მხოლოდ ერთი ქალი კანდიდატია. ჯამში 390 მერობის კანდიდატიდან 50 არის ქალი (13 პროცენტზე ნაკლები). მაჟორიტარობის კანდიდატებში კაცები თითქმის 84 პროცენტს წარმოადგენენ. ქალების ჯამური წარმომადგენლობა პროპორციულ სიებში თითქმის 37 პროცენტია, თუმცა ბევრი მათგანი სიის გამსვლელ პოზიციებზე არ არის წარმოდგენილი.

ცესკოს ცნობით, ერთიანმა ნაციონალური მოძრაობამ, ევროპულმა საქართველომ, პატრიოტთა ალიანსმა და რესპუბლიკურმა პარტიამ, სხვა რამდენიმე პარტიასა და ბლოკთან ერთად, პროპორციული სიის ყოველ ათეულში სამი ქალის დასახელების გამო დამატებითი სახელმწიფო დაფინანსების კანდიდატია. მმართველმა პარტიამ პროპორციული სიების შემთხვევაში ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მერობის 64 კანდიდატს შორისაც მხოლოდ 2 ქალი წარადგინა.

იმის გათვალისწინებით, რომ სიების უმრავლესობა 15-დან 45-მდე კანდიდატისგან შედგება (შესაბამისად, სიის ბოლოს სრული ათეული არ არის), ზოგიერთმა პარტიამ რჩევისთვის მიმართა ცესკოს, თუ რა მოთხოვნა იქნებოდა სიებში კანდიდატების გენდერული გადანაწილების მოთხოვნის შესრულების კუთხით. ცესკოს განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ არასრული ათეული შვიდი ან ნაკლები კანდიდატისგან შედგება, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ამ ათეულში ქალი კანდიდატის წარდგენა აუცილებელი არ არის. თუმცა თუ არასრული ათეული რვა ან ცხრა კანდიდატისგან შედგება, კანონის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად შესაბამისად ერთი ან ორი ქალი კანდიდატის წარდგენა არის აუცილებელი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში - ცესკოს თავმჯდომარის ჩათვლით - სამი ქალია. საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 63 პროცენტი არის ქალი; საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების 71 პროცენტსაც ქალები წარმოადგენენ. საუბნო საარჩევნო კომისიების 62 პროცენტს ქალი თავმჯდომარე, ხოლო 92 პროცენტზე მეტს ქალი მდივანი ჰყავს.

ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა

2014 წლის აღწერის მიხედვით ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის 13 პროცენტს წარმოადგენენ. მათ შორის ყველაზე დიდ ჯგუფებს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები და სომხები (6,3 და 4,5 პროცენტი შესაბამისად). ეთნიკური უმცირესობების შეზღუდული მონაწილეობა პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ხშირად ენობრივ ბარიერს უკავშირდება, რადგან ბევრი მათგანი ქართულ ენას კარგად არ ფლობს. საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის გაზრდის მიზნით, ცესკომ განაგრძო მის პროგრამებისა და აქტივობების ეთნიკური უმცირესობების ენებზე წარმოება - მათ შორის, საინფორმაციო კამპანიები, ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნება, ბიულეტენებისა და ტრენინგის სახელმძღვანელოების დაბეჭდვა და ტრენინგების ჩატარება საარჩევნო ადმინისტრაციისთვის[14]. NDI-ის წინასარჩევნო რეკომენდაციის გათვალისწინებით, იმისთვის, რომ ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა უფრო მეტად გაზრდილიყო, ცესკომ ვებგვერდის საწყის გვერდზე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ბანერები განათავსა. ეს საშუალებას აძლევს ამომრჩევლებს, რომლებიც ქართულად ვერ კითხულობენ, ცესკოს ვებგვერდზე მნიშვნელოვანი საარჩევნო ინფორმაცია უფრო ადვილად მოძებნონ.

პოლიტიკური პარტიები აცხადებენ, რომ მათ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ოლქებში კანდიდატებად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები დაასახელეს და კამპანიასაც ეთნიკური უმცირესობების ენებზე წარმართავენ.

საჩივრები და მიმართვები

საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესთან ადრე არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად პოზიტიური ნაბიჯები გადადგა, მათ შორისაა: იმ მომჩივანებისთვის წერილობითი პასუხის გაცემა, რომელთა საჩივრები

[14] ამ არჩევნებზე ცესკო 345 საარჩევნო უბნისთვის ნათარგმნი ბიულეტენის მიწოდებას გეგმავს: 208 უბანზე აზერბაიჯანულ ენაზე, 133 უბანზე სომხურ ენაზე, ხოლო 4 უბანზე - ორივე.

არ განიხილება; საჩივრების პროცედურაზე ტრენინგების ჩატარება; და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის ჩართულობით მომზადებული ტრენინგის ახალი სახელმძღვანელოების შემუშავება. დამატებით, ცესკომ ყველა საჩივარი, მიმართვა და სხვა იურიდიული განცხადებები თავის ვებგვერდზე დროულად გამოაქვეყნა.

ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში 49 საჩივარი, მიმართვა და განცხადება დარეგისტრირდა, აქედან შვიდი - ცესკოში, 40 - საოლქო საარჩევნო კომისიებში, ხოლო ორი - თბილისის საქალაქო სასამართლოში. 17 საჩივარი ამჟამად განხილვის პროცესშია, რვა საჩივარი ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილდა და 24 საჩივარი განუხილველი დარჩა ან არ დაკმაყოფილდა. ჩამოთვლილთაგან მხოლოდ სამი საჩივარი დარჩა განუხილველი პროცედურული მიზეზების გამო (არაუფლებამოსილი პირის მიერ საჩივრის შეტანისა ან საჩივრის შეტანის ვადის გასვლის გამო)[15]. საჩივრები უკავშირდება ისეთ დარღვევებს, როგორიცაა: ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, წინასაარჩევნო აგიტაციაში საჯარო მოხელეების მონაწილეობა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შერჩევის პროცესი.

კანონი საჩივრის ტიპის მიხედვით ზღუდავს იმ პირთა წრეს, ვისაც საჩივრის შეტანა შეუძლია. უმეტეს შემთხვევაში, ამომრჩეველს საჩივრის შეტანის უფლება არ აქვს. დამატებით, პარტიები და არჩევნებში მონაწილე პირები ხაზს უსვამენ საჩივრის შეტანის მოკლე ვადებს, რაც არ აძლევს მათ საშუალებას, მოიძიონ საჩივრებისთვის საჭირო მტკიცებულებები. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ არ გააჩნიათ სათანადო რესურსი, რადგან ყველაზე გავრცელებული დარღვევების შემთხვევაში - როგორიცაა დაშინება და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება - მტკიცების ტვირთი მათზეა. ზოგიერთი პარტიის ლიდერების განცხადებით, საჩივრების წარდგენამ შესაძლოა, საზოგადოებას არჩევნებში მონაწილეობაზე გული აუცრუოს და არჩევნების პროცესისადმი ეჭვი გაუჩინოს. მათი აზრით, იდენტიფიცირებული დარღვევების რაოდენობა შეტანილი საჩივრების რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება.

კამპანიის ბევრი სადაო აქტივობა კანონიერების ჩარჩოში ჯდება. კანონი კამპანიისა და საჯარო ადმინისტრაციის მთელ რიგ აქტივობებს მხოლოდ არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ კრძალავს. ამ შეზღუდვის გათვალისწინებით, ოპოზიციურ პარტიებსა და სადამკვირვებლო ჯგუფებში საჩივრების განხილვის

[15] საქმის განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილებას კომიიის თავმჯდომარე იღებს.

ამჟამინდელი პროცესის ეფექტურობის მიმართ უნდობლობა მაღალია. მათი აზრით, არსებული საჩივრების რაოდენობა შესაძლოა სრულად არ ასახავდეს პარტიებისა და სამოქალაქო ჯგუფების წინაშე არსებული პრობლემების სრულ სპექტრს.

რეკომენდაციები

- შესაბამისმა უწყებებმა სწრაფად უნდა გამოიძიონ შევიწროებისა და საარჩევნო ძალადობის ყველა შემთხვევა და უზრუნველყონ, რომ დამნაშავეთა დროულმა დასჯამ უახლოეს მომავალში მსგავსი ძალადობის შემთხვევები აღკვეთოს;
- პარტიებმა შესაბამისი მტკიცებულებების მოსაძიებლად ყველა ძალისხმევა უნდა გამოიყენონ, რათა საარჩევნო დარღვევების, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, ზეწოლის ან შევიწროებისა და ძალადობის ფაქტები დაასაბუთონ; ამასთანავე, მათ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით ყველა არსებულ პროცედურას უნდა მიმართონ;
- პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა შესაძლო დებატებსა და პოლიტიკურ გადაცემებში, რათა ამომრჩევლებს თავიანთი პოლიტიკა და გეგმები წარუდგინონ;
- საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ დამსწრეების სხდომებიდან ან შენობიდან გაძევების კანონით გათვალისწინებული ფართო ძალაუფლება ბოროტად არ იქნას გამოყენებული - მათ შორის ამ საკითხის ირგვლივ ტრენინგის ჩატარებისა და გაძლიერებული ზედამხედველობის გზით;
- ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა უნდა გააგრძელონ საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ზედამხედველობა, განსაკუთრებით არჩევნების დღეს და ხმების დათვლის პროცესში, რათა უზრუნველყონ მიუკერძოებლობა და გამჭვირვალობა;
- მთავრობამ, პოლიტიკურმა პარტიებმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა განაგრძონ დეზინფორმაციის მონიტორინგი, არა მარტო ტრადიციულ მედია საშუალებში, არამედ ონლაინ პლატფორმებზეც. მათ უნდა განაგრძონ საზოგადოების განათლება, რათა გაიზარდოს ცნობიერება და მოქალაქეებმა შეიმუშაონ შინაარსისა და წყაროების გადამოწმების უნარები და ამით თავიდან აიცილონ დეზინფორმაციის მოხმარება და გავრცელება;
- მედიამ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სიახლეების ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, გაზარდოს საზოგადოებრივი ცნობიერება მათ წინაშე არსებული

არჩევანისა და პლატფორმების შესახებ, და გაქარწყლოს ჭორები და მცდარი ინფორმაცია.

NDI წინასაარჩევნო სადამკვირვებლო მისია და აქტივობები

NDI გააგრძელებს საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებასა და პროცესების ანალიზს და დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი დაკვირვებებისა და მიგნებების შეთავაზებას. ანგარიში ეყრდნობა NDI-ის წინასაარჩევნო დელეგაციისა და ასევე NDI-ის გრძელვადიანი მისიის მიგნებებს. NDI-ის წინასაარჩევნო დელეგაციის 21 ივლისის განცხადება და სხვა მნიშვნელოვანი მასალები განთავსებულია ვებსაიტზე www.ndi.org. NDI მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნულ ფონდს (NED), რომლებიც საქართველოში NDI-ის წინასაარჩევნო დაკვირვებას აფინანსებენ.

NDI საკონტაქტო ინფორმაცია

დიანა ჩაჩუა, dchachua@ndi.org , (+995 577 779639)

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მხარდაჭერით მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისათვის მუშაობს.

დამატებითი ინფორმაცია NDI–ისა და მისი პროგრამების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org.